- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

შპს „პარტნიორი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის მაჩვენებლები არის შემდეგი:

	წელი
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	7
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7
სატრანსპორტო საშუალებები	8
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

შპს „პარტნიორი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანიას იჯარით აქვთ მიღებული სატრანსპორტო საშუალებები. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გახადების გამოკლებით,
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარემ უნდა გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

- ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით
- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას შემდომში შეფასებისთვის აფასებს თვითღირებულების მოდელს:

ა) რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი; და

ბ) დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით, მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებაზე ცვეთის დასარიცხად იყენებს ბასს 16 - „ძირითადი საშუალებები“.

შპს „პარტნიორი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა უნდა დაარიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა უნდა დაარიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად 8 წელზე არიცხავს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის მინიჭებით, კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება. კომპანიის არამატერიალური აქტივი არის ორისის საბუღალტრო პროგრამა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდი ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს შეძენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი

შპს „პარტნიორი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი; ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის სხვა ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შესაძლებლობისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

შპს „პარტნიორი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხდება გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

ა) ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ), მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით.

ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით.

გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით.

დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, და ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას. გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობები შეყვანილია მთელ რიგ საკუთრების იჯარებში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობების უმეტესობით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ კომპანიას და არა შესაბამის მეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა (ან შეწყვეტის შემდგომ პერიოდის შესაძლებლობა) შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში. იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ განაკვეთი არ არის ადვილად დადგენილი, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფითა და მდგომარეობით. ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, კომპანია:

- სადაც შესაძლებელია, იყენებს კომპანიის მიერ, ბოლო ხანებში, მესამე მხარისგან მიღებულ დაფინანსებას, როგორც საწყის წერტილს,
- იყენებს მიდგომას, რომელიც იწყება საკრედიტო რისკისთვის კორექტირებული ურისკო საპროცენტო განაკვეთით, და
- ახორციელებს იჯარისათვის სპეციფიურ კორექტორებს, მაგ. ვადა, ქვეყანა, ვალუტა და უზრუნველყოფა. საიჯარო გადახდები განაწილებულია ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგება ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ ხდებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის. ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება მოკლევადიან იჯარასთან და დაბალ-ღირებულებიანი აქტივების იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში.

შპს „პარტნიორი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

IASB-ს მიერ გამოცემული მოქმედი და სამომავლო სტანდარტების განმარტებები

მოქმედი სტანდარტები; სააღრიცხვო პოლიტიკების სამომავლო ცვლილებები

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. როგორც მოსალოდნელია, არც ერთ მათგანს არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში: საქმიანობის განსაზღვრა;
- ცვლილებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: ტერმინის „არსებითი“ განმარტება;
- საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის რეფორმა: ცვლილებები ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 39-სა და ფასს (IFRS) 7-ში.

3 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	ატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
01/01/2018	29,447	-	91,896	296,149	6,841	12,702	662,132	95,190	1,194,357
შემოსვლა	207,500	108,711	96,035	4,747	1,387	-	77,100	-	495,480
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	(95,190)	(95,190)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31/12/2018	236,947	108,711	187,931	300,896	8,228	12,702	739,232	0	1,594,647
შემოსვლა	-	-	-	2,400	-	-	62,759	-	65,159
ტრანსფერი	-	-	-	-	-	-	840,863	-	840,863
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	(242,377)	-	(242,377)
31/12/2019	236,947	108,711	187,931	303,296	8,228	12,702	1,400,477	0	2,258,293
ცვეთა და გაუფასურება									
01/01/2018	-	-	(12,128)	(119,192)	(3,353)	(3,620)	(203,284)	(12,715)	(354,292)
ცვეთა	-	(2,889)	(7,147)	(44,688)	(1,495)	(1,815)	(91,871)	(2,230)	(152,135)
ჩამოწერილი ძირ. საშ. ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	14,944	14,944
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31/12/2018	-	(2,889)	(19,275)	(163,880)	(4,848)	(5,435)	(295,155)	(1)	(491,483)
ცვეთა	-	(5,626)	(9,953)	(45,274)	(1,646)	(1,815)	(236,110)	-	(300,424)
გასვლა	-	-	-	-	-	-	25,912	-	25,912
31/12/2019	-	(8,515)	(29,228)	(209,154)	(6,494)	(7,250)	(505,353)	(1)	(765,995)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
1/1/18	29,447	-	79,768	176,957	3,488	9,082	458,848	82,475	840,065
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31/12/18	236,947	105,822	168,656	137,016	3,380	7,267	444,077	(1)	1,103,164
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31/12/19	236,947	100,196	158,703	94,142	1,734	5,452	895,124	(1)	1,492,297

შპს „პარტნიორი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4 აქტივის გამოყენების უფლება

კომპანიას ფინანსური იჯარით აქვს მიღებული 4 სატრანსპორტო საშუალება. აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აქტივის გამოყენების უფლება
01 იანვარი 2018	998,192
შემოსვლა	-
ამორტიზაცია	(136,402)
31 დეკემბერი 2018	861,790
შემოსვლა	249,058
ტრანსფერი ძირითად საშუალებებში	(840,863)
ამორტიზაცია	(40,755)
31 დეკემბერი 2019	229,230

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

01 იანვარი 2018	520,818
შემოსვლა	-
საპროცენტო ხარჯი	25,616
გადაფასება	(311)
გადახდა	(463,980)
31 დეკემბერი 2018	82,143
შემოსვლა	273,146
საპროცენტო ხარჯი	4,113
გადაფასება	(5,991)
გაქვითვა	(151,460)
გადახდა	(150,635)
31 დეკემბერი 2019	51,316

საიჯარო ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019, 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით იხილეთ შენიშვნა 15.

5 მარაგები

	31-12-19	31-12-18	01-01-18
ნედლეული და სახარჯი მასალა	13,559	-	1,741
საწვავი	4,550	12,351	24,507
სათადარიგო ნაწილები და სხვა მატერიალურ-საწარმოო მარაგები	6,887	16,699	29,435
სულ მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	24,996	29,050	55,683

შპს „პარტნიორი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-12-19	31-12-18	01-01-18
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	89,928	97,274	158,389
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	101	495	13
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	90,029	97,769	158,402

7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-19	31-12-18	01-01-18
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	10,029	929	379
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	37,972	109,154	31,643
	48,001	110,083	32,022

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. დამატებითი ინფორმაცია ფული და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-15 განმარტებით შენიშვნაში.

8 საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 1 იანვრისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2,158 ლარს. 2019 წლის 24 ოქტომბერს კაპიტალი 2,158 ლარი, სრულად განაწილებულია მესაკუთრეებს შორის, მესაკუთრეების წილების პროპორციულად. 2019 წლის 31 ოქტომბერს დამფუძნებლების გადაწყვეტილებით კომპანიის 100% გასხვისებულია შპს "მანგანულ ლოჯისტიკზე". 2019 წლის 19 დეკემბერს შპს "მანგანულ ლოჯისტიკი"-ს მიერ კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეტანილია 110,000 ლარის ფულადი შენატანი. 2019 წლის განმავლობაში კომპანიამ დაადეკლარირა და სრულად დაფარა დივიდენდები, რომელთა ღირებულება შეადგენს 146,841 ლარს. (2018 წელს - 300,596 ლარი)

9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-12-19	31-12-19	01-01-18
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	40,405	19,140	30,148
სავაჭრო ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	13,117	800	569
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	18	49,096	3,509
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	53,540	69,036	34,226

შპს „პარტნიორი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

10 შემოსავალი

	2019	2018
შემოსავალი მადნის მოპოვების და რეცხვის მომსახურებიდან	1,226,443	2,822,178
შემოსავალი ტრანსპორტირებიდან	41,559	46,842
სხვა შემოსავალი	62,145	-
სულ შემოსავალი	1,330,147	2,869,020

11 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2019	2018
მადნის მოპოვების პირდაპირი ხელფასები	126,135	253,675
მადნის გამდიდრების პირდაპირი ხელფასები	207,649	139,793
მადნის მოპოვებისთვის გამოყენებული ძ.ს. ცვეთა	231,969	209,767
მადნის გამდიდრებისთვის გამოყენებული ძ.ს. ცვეთა	67,304	63,954
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	467,322	524,236
სხვა საოპერაციო ხარჯები	36,357	48,362
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1,136,736	1,239,787

12 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	380,095	638,950
ცვეთა და ამორტიზაცია	19,357	14,877
სხვა საერთო ხარჯი	20,852	17,302
კომუნიკაციის ხარჯები	2,295	38,030
საკანცელარიო ხარჯები	2,416	2,015
ოჯარის ხარჯი	2,700	14,288
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	427,715	725,462

13 ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

	2019	2018
კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა	10,621	981
სულ ფინანსური შემოსავალი	10,621	981
კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალი	-	(2,861)
საპროცენტო ხარჯები	(8,745)	(28,034)
სულ ფინანსური ხარჯი	(8,745)	(30,895)

14 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

წლის განმავლობაში ხელმძღვანელი რგოლის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდგენიარად:

	2019	2018
ხელმძღვანელი რგოლის ხელფასები	41,441	339,500

შპს „პარტნიორი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

	2019	2018
შემოსავალი	1,462,727	3,386,198

დივიდენდები

	გამოცხადებული დივიდენდები 2019	გამოცხადებული დივიდენდები 2018
მესაკუთრეები	146,841	300,596

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-12-19	31-12-18	01-01-18
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	76,488	136,698
მიღებული ავანსები	(34,412)	-	-

15 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

	31-12-19	31-12-18	01-01-18
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	90,029	97,769	158,402
ფული და ფულის ეკვივალენტები	48,001	110,083	32,022
სულ ფინანსური აქტივები	138,030	207,852	190,424
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	53,540	69,036	34,226
სულ ფინანსური ვალდებულებები	53,540	69,036	34,226

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ქვემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან. კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძოზიარობას:

	31-12-19	31-12-18	01-01-18
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	90,029	97,769	158,402
ფული და ფულის ეკვივალენტები	37,972	109,154	31,643
სულ	128,001	206,923	190,045

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

შპს „პარტნიორი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სავალუტო რისკი - უმნიშვნელო ზემოქმედებას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები 2019 წლის ბოლოსთვის.

კომპანიას არ აქვს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებითი ნაშთები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019, 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდური აქტივ-პასივების წმინდა ბალანსი:

	2019			
	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	48,001	-	-	48,001
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	90,029	-	-	90,029
აქტივები	138,030	-	-	138,030
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	53,540	-	-	53,540
საიჯარო ვალდებულებები	51,316	-	-	51,316
ვალდებულებები	104,856	-	-	104,856
წმინდა ბალანსი	33,174	-	-	(5,541,556)

შპს „პარტნიორი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდური აქტივ-პასივების წმინდა ბალანსი:

	2018			სულ
	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	
ფული და ფულის ექვივალენტები	110,083	-	-	110,083
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	97,769	-	-	97,769
აქტივები	207,852	-	-	207,852
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	69,036	-	-	69,036
საიჯარო ვალდებულებები	72,624	9,519	-	82,143
ვალდებულებები	141,660	9,519	-	151,179
წმინდა ბალანსი	66,192	(9,519)	-	56,673

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდური აქტივ-პასივების წმინდა ბალანსი:

	2017			სულ
	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	
ფული და ფულის ექვივალენტები	32,022	-	-	32,022
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	158,402	-	-	158,402
აქტივები	190,424	-	-	190,424
კრედიტორული დავალიანება	34,226	-	-	34,226
საიჯარო ვალდებულებები	429,251	91,567	-	520,818
ვალდებულებები	463,477	91,567	-	555,044
წმინდა ბალანსი	(273,053)	(91,567)	-	(364,620)

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამო.

16 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის 27 აგვისტოს დამფუძნებლის გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი შემცირებულია 46,044 ლარის ფულადი სახსრებით.

2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა. კოვიდ-19 პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ეკონომიკური პროცესები, მათ შორის გავლენა იქონია კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზეც, თუმცა მენეჯმენტის შეფასებით, აღნიშნული გავლენა არარსებითია და კომპანიის უნარს, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, საფრთხე არ ემუქრება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს.